





# მენარმეობის განვითარება გორის მუნიციპალიტეტში



*გორის რეგიონული განვითარების  
გზამკვლევი*



# DRIVE DEMOCRACY





# მენარეობის განვითარება გორის მუნიციპალიტეტში



გორის რეგიონული განვითარების  
გზამკვლევი

**DRIVE** —————  
**DEMOCRACY**

წინამდებარე დოკუმენტი - რეგიონული განვითარების გზამკვლევი, არის მოქალაქეთა ხედვის დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია პროექტის „**რეგიონების უზრუნველყოფა ინფორმაციით და ამომრჩევლთა გაძლიერება დემოკრატიისთვის**“ მონაწილეთა მიერ.

პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD) მიერ, USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან (EPRC) თანამშრომლობით, და მიზნად ისახავს ამომრჩევლების იმდაგვარად გაძლიერებას, რომ წარმატებით მოითხოვონ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ფოკუსირებული პოლიტიკური თუ საარჩევნო პროგრამები და ისეთი პოლიტიკის განხორციელება ქვეყანაში, რომელიც შეტად პასუხობს საქართველოს მოქალაქეების რეალურ საჭიროებებს. პროექტი საქართველოს ხუთ რეგიონში: თბილისში, კახეთში, შიდა ქართლში, იმერეთსა და აჭარაში ხორციელდება.

*დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორთა ჯგუფი და არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც აღმოსავლეთ ევროპის ცენტრის მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD), ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალური პოზიცია ან თვალსაზრისი.*





<b>პრობლემის მიმოხილვა</b> .....	6
<b>საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და მიზნობები</b> .....	8
<b>თვისებრივი კვლევა და მიზნობები</b> .....	16
გენდერული მენისტრიმინგი ეკონომიკურ პოლიტიკაში.....	14
<b>შეფუძვებული რეკომენდაციები</b> .....	17
დოკუმენტების მეორადი ანალიზის საფუძველზე.....	18
თვისებრივი კვლევის საფუძველზე .....	21

## პრობლემის მიმოხილვა

მენარმეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, რაც, თავის მხრივ, მზარდი ეკონომიკური განვითარების საფუძველს ქმნის. ამასთან, უზრუნველყოფს ახალ სამუშაო ადგილებს, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას და სტაბილური განვითარების გარანტიად გვევლინება. დღეისათვის უმუშევრობის მაღალი დონე კვლავ უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და უმძიმეს პრობლემად რჩება. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა პირდაპირ უნდა იყოს მიმართული სამენარმეო გარემოსა და პირობების შექმნაზე, მენარმეთა ინტერესების დაცვასა და ხელშეწყობაზე. ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად, მნიშვნელოვანია ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდა და სწორი სამენარმეო პოლიტიკის შემუშავება. ძლიერი და განვითარებული მცირე და საშუალო მენარმეობის სექტორი ხელს უწყობს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამენარმეო კულტურის შექმნას. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცხოვრების დონის ამაღლებაში.

საქართველო პერსპექტიული ქვეყანაა თავისი შესაძლებლობებითა და სამენარმეო განვითარების პოტენციალით, თუმცა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი სამენარმეო უნარებისა და კომპეტენციათა ზრდის არასაკმარის პროგრამებს გვთავაზობს. უმეტესად, საერთაშორისო დონორები აბანდებენ ფულს მომავალ თაობებში. მართალია, ბოლო დროს სოფლის მეურნეობაში, კრეატიულ ინდუსტრიაში და ტურიზმის განვითარებაში სახელმწიფომ დიდი ინვესტიციები ჩადო, მაგრამ ამ თანხების 70%-ზე მეტი ისევ საერთაშორისო დონორებისაგან მოიხიდა.<sup>1</sup>

საზოგადოებაში მენარმეობის გაზრდის არაერთი მცდელობის მიუხედავად, მისი ეფექტურობა მაღალი არაა (დასაქმების ადგილების შექმნა, ექსპორტის ჩანაცვლება, იმპორტის ზრდა და ა.შ.). მიზეზი - **სამენარმეო კომპეტენციის დაბალი დონეა**, რაც ხელს უშლის უკვე დაფინანსებულ ბიზნესს გაფართოებასა და წარმატებაში. არ იმატებს სამუშაო ადგილები, ექსპორტის მაჩვენებელი კი იმპორტს კვლავ ბევრად აღემატება.

ბოლო წლებში სახელმწიფომ შექმნა საბანკო თანადაფინანსების პროგრამები,

1 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD). „ENPARD 1-ის შეფასების საბოლოო ანგარიში, 2013-2017“. დეკემბერი, 2017. <http://enpard.ge/ge/enpard-1-shephasebis-saboloo-angarishi/>  
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. *ანტიკრიზისული გეგმა-ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე.2020.* <https://mepa.gov.ge/Ge/Page/AntiCrisisPlan>

თუმცა ეს მხოლოდ იმ სეგმენტს შეეხება, რომელსაც 20 000 ლარიდან სურს ბიზნესის დაწყება. არსებობს დაბალბიუჯეტური პროგრამა – „ანარმოე საქართველოში“, რომელსაც ორი წელია მცირე გრანტი აღარ გაუცია – მხოლოდ ცალკეულ საშუალო საწარმოებს ეხმარება<sup>2</sup>. დაფინანსებისა თუ გრანტების მიუხედავად, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფებში კომპეტენციებისა და უნარების ამაღლებას. ხშირად ისინი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გარეშე იწყებენ საქმიანობას, რაც არცთუ მიმზიდველი შედეგით მთავრდება.

დადებითია ის, რომ 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცალკე გამოიყო **მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობა – მცირე გრანტები (პროგრამული კოდი 24 07 03 04)**. მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამა რეგიონებში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენაა მიმართული. მცირე ბიზნესისათვის ადამიანური და საწარმოო კაპიტალის შექმნითა და განვითარებით, მისთვის ინტენსიური საკონსულტაციო მომსახურების განვითარებით, რეგიონში სამენარმოე საქმიანობა გამოცოცხლდება და გააქტიურდება.<sup>3</sup>

მნიშვნელოვანი ხარვეზებია საერთაშორისო დონორების მიერ შემუშავებულ პროგრამებშიც, რომლებიც შიდა ქართლის რეგიონს მოიცავს და ძირითადად, 18-29 წლამდე ახალგაზრდებზე ვრცელდება (აქ არ იგულისხმება პროგრამები, რომლებიც საზღვრისპირა და მაღალმთიანი ზონის სტატუსის მქონე სოფლებში ხორციელდება). მთლიანად უგულვებელყოფილია 30 წელს გადაცილებული სეგმენტი, რომელსაც არანაკლები მოტივაცია, ცოდნა და გამოცდილება აქვს წარმატებული საწარმოს შექმნის, რეგიონში ახალი სამუშაო ადგილებისა და ექსპორტის ზრდისათვის.<sup>4</sup>

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობა მენარმეობის ხელშეწყობა და წახალისებაა, რასაც ხელს უნდა უწყობდნენ სახელმწიფო და საერთაშორისო დონორებიც, ამიტომ, აღნიშნულ დოკუმენტზე მომუშავე გუნდმა გადაწყვიტეთ, ორი მიმართულებით გვემოქმედა:

1. მოგვეხდინა გორის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ბაზის მეორადი ანალიზი, რაც გვიჩვენებდა რა ტენდენციები და პრიორიტეტები აქვს მენარმეობის განვითარების კუთხით ადგილობრივ ხელისუფლებას.
2. ჩავვეტარებინა თვისებრივი (ექსპერტული, ფოკუსჯგუფი) კვლევა – „გორის მუნიციპალიტეტში მენარმეობის ხელშეწყობის განვითარებისთვის.“

<sup>2</sup> სახელმწიფო პროგრამა „ანარმოე საქართველოში“

<sup>3</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. <https://mof.ge/5261>

<sup>4</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. რეგიონული სტატისტიკა. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika>

# საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და მიზნაბი

საკითხზე მუშაობისას მოხდა შემდეგი დოკუმენტებისა და ნორმატიული აქტების შესწავლა და ანალიზი:

- » 2019-2022 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი
- » 2019 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა
- » 2019 წლის ბიუჯეტი და ბიუჯეტის პროგრამული დანართი
- » 2019 წლის შესრულების წლიური ანგარიში
- » 2020 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა
- » 2020 წლის ბიუჯეტის პროგრამული დანართი
- » ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP) შესრულების ანგარიში, მეორე ფაზა

## დამატებით შესწავლილი დოკუმენტები:

- » „დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025[1]“
- » „დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა[2]5“.
- » „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
- » „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა:

## მიზნაბა 1.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის მიხედვით, „მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი არის თვითმმართველი ერთეულის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის შესახებ. დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც გასულ პერიოდზე, ასევე მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში

5 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ადგილობრივი თვითმმართველობა. [shorturl.at/xANTX](http://shorturl.at/xANTX)



მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებს. ბიუჯეტის პროგრამული ფორმატის მეთოდოლოგიის მიხედვით, გორის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა
04 00	განათლება
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

გორის 2020 წლის პრიორიტეტის დოკუმენტში პროგრამა - „**ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება გორში მდგრადი განვითარებისათვის**“, პროგრამული კოდით **02 19**, განხილულია, როგორც **02** პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის განვითარება“ შემადგენელი. მაშინ, როცა აღნიშნული **02 19** პროგრამა თავისი შინაარსით ცალკე პრიორიტეტს - „ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას“ განეკუთვნება.

ასევე საინტერესოა პროგრამა - „**მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარება**“, პროგრამული კოდით **02 21**, რომელიც მნიშვნელოვანია **02** პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის“. პროგრამის აღწერასა და მიზანში ვკითხულობთ:

„მუნიციპალიტეტის **ეკონომიკის** არსებული მდგომარეობის ანალიზი; განვითარების შესაძლებლობების და პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა; რეკომენდაციების შემუშავება; საპროექტო წინადადებების მომზადება საგრანტო კონკურსებში დაფინანსების მოსაპოვებლად და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება; გარე ინვესტიციების მოზიდვა და ინვესტორთა მხარდაჭერა“.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერა და **ფორმალური და არაფორმალური განათლების გაუმჯობესების ხელშეწყობა**; საზოგადოების ჩართულობის დონის ამაღლება და კონსულტაციები. სამოქალაქო საზოგადოების მიერ ინიცირებული მნიშვნელოვანი საკითხების ლობირება“.

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების საკადასტრო აზომვითი ნახაზების და შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტების მომზადება, მიწის ნაკვეთის დაკვალვის სამუშაოების ჩატარება, ხაზობრივი ნაგებობების და წერტილოვანი საკადასტრო ნახაზების მომზადება; სიტუაციური ნახაზების და თემატური გეოინფორმაციული რუკების მომზადება, ქალაქგეგმარების საკითხში კონსულტაციები“.

როგორც ვნახეთ, აღწერილობითი ნაწილი ბევრ საკითხს მოიცავს. ეკონომიკასთან დაკავშირებით დაგეგმილია **„მუნიციპალიტეტის ეკონომიკის არსებული მდგომარეობის ანალიზი“**, რაც სცდება ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტს. **კარგი იქნება, თუ ცალკე გამოიყოფა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტში შესაბამისი პროგრამით განისაზღვრება.**

რიგ საკითხებთან ერთად, აღნიშნული პროგრამა აღწერილობით ნაწილში ასევე ითვალისწინებს ფორმალური და არაფორმალური განათლების გაუმჯობესებას, რაც განათლების პრიორიტეტის აქტივობაა, ამიტომ **შესაბამისი პრიორიტეტის პროგრამაში უნდა გადავიდეს.**

ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია: „იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება ან იგეგმება ისეთი პრიორიტეტის დაფინანსება, რომელიც არ არის წარმოდგენილი პრიორიტეტების ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში, შესაძლებელია ჩამონათვალს, შემდგომი რიგითი კოდით **დაემატოს პრიორიტეტის დასახელება**. მაგ: პრიორიტეტის კოდი - **07 00 „ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა“**.“

## **მიზნაბა 2.**

გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების გეგმის დოკუმენტის თანახმად, ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთ მიზნად (#3 მიზანი) გამოყოფილია „ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნა, მოსახლეობის დასაქმება და **მენარმეობის ხელშეწყობა**“.

სამოქმედო გეგმაში განწერილია შესაბამისი მიზნის (#3) ქმედებები/ღონისძიებები, მოცემულია მათი განხორციელების პერიოდი, რომელიც 2019-2020 წლებს

მოიცავს. მოცემულია შესაბამისი ინდიკატორები და დაფინანსების წყაროები. დაფინანსების წყაროებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დაფინანსების ერთადერთი წყარო ძირითადად (ღონისძიება 3.2. ღონისძიება 3.3. ღონისძიება 3.4.) ადგილობრივი ბიუჯეტია. ღონისძიება 3.5-ის შემთხვევაში კი დაფინანსების ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტთან ერთად დონორ ორგანიზაციებზე მოდის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი არის თვითმმართველი ერთეულის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმების შესახებ“. შესაბამისად, **პრიორიტეტის დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გორის ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებულ შესაბამის მიმართულებაზე.**

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამაზე - „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება გორში მდგრადი განვითარებისათვის“ (პროგრამული კოდით 02 19), რომლის სახელწოდებაც გარკვეულწილად ეხმიანება ეკონომიკური განვითარების გეგმის სლოგანს - „დაგეგმე თანამშრომლობით, მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის!“, **2020 წლის პრიორიტეტის დოკუმენტის მიხედვით თანხები არ გამოყოფილა (თანხები არ არის მითითებული მომდევნო საშუალოვადიანი პერიოდისთვის 2021-2023 წწ).**

განსხვავებული სურათია გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დოკუმენტში, სადაც **აღნიშნული პროგრამა 2020 წლისთვის დაფინანსდა და 769.2 ათასი ლარით განისაზღვრა.**

ამ პროგრამასთან დაკავშირებით განსხვავებულია 2019 წლის დაფინანსებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩანაწერებიც. კერძოდ: პრიორიტეტის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2019 წელს პროგრამის გეგმიური დაფინანსება შეადგენდა 1,608,9 ათას ლარს, 2020 წლის ბიუჯეტის დოკუმენტში კი 1,576 ,9 ათასი ლარია მითითებული.

რაც შეეხება 2020 წლის გორის მუნიციპალიტეტის პროგრამულ ბიუჯეტს, პროგრამული კოდი 0219 - „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება გორში მდგრადი განვითარებისათვის“, მხოლოდ დასაგეგმ წელს არის გამოყოფილი 814.2 ლარი, მომდევნო წლებში დაფინანსება 0 ლარია. პროგრამის მიზნადაც მხოლოდ ტურიზმის განვითარება რჩება და შესაბამისად, მომდევნო 2 წელი აღარ იძებნება (რეკომენდაცია #4).

### **მიგნება 3.**

გორის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმაში აღნიშნულია, რომ ორ წელიწადზე გათვლილ საქმიანობას მოიცავს. ეს ორი წელი, როგორც გეგმაშია ნაჩვენები, 2019-2020 საბიუჯეტო წლებია. **2021 წლისათვის გეგმა არ მოიაზრებს შესაბამის ღონისძიებებს.**

**შესაბამისად, აღნიშნულ გეგმას ვერ განვიხილავთ 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების საფუძვლად.** თუმცა, გასათვალისწინებელია, რა ღონისძიებები შესრულდა 2019-2020 წლებში და ხომ არ მოხდება გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების, რომლებიც არ გამართულა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადატანა მომდევნო წლებზე.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის თანახმად, „მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებისას თვითმმართველობის ხელმძღვანელმა თანამდებობის პირებმა და შესაბამისმა სამსახურებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ, რომ **დაცული იქნას შესაბამისობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და შესაბამის რეგიონული განვითარების სტრატეგიას შორის“.**

**ამ მხრივ, საინტერესო იყო ისეთი დოკუმენტების ანალიზი, როგორებიცაა: „დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025[1]“ და „დეცენტრალიზაციის სტრატეგიის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა[2]“.**

როგორც „დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025“-ში ვკითხულობთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა „ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის და კოორდინაციის სისტემის შექმნა“, რომლის ფარგლებშიც „ადგილობრივი თვითმმართველობის სრულყოფილი განხორციელება დამოკიდებულია თვითმმართველი ერთეულის განვითარების დაგეგმვისა და კოორდინაციის თანმიმდევრული და მდგრადი სისტემის არსებობაზე. მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის გარეშე შეუძლებელი იქნება გადაიჭრას მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, მოხდეს მუნიციპალური ფინანსებისა და მატერიალური რესურსების ეფექტიანი მართვა, ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და გამოინახოს ოპტიმალური გზები ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სტიმულირების, სოციალური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად“.

დოკუმენტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის განვითარების დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის შესაქმნელად საჭიროა:

1. მუნიციპალიტეტებში დაგეგმვის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად სტანდარტებისა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავება.
2. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებისა და ინდიკატორების ნუსხის განსაზღვრა. მუნიციპალიტეტებში დაგეგმვისათვის აუცილებელი მონაცემთა ბაზების გაუმჯობესება;
3. მუნიციპალური ბიუჯეტების შესაბამისობა სტრატეგიული და პროგრამული დაგეგმვის დოკუმენტებთან;
4. ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებისა და პროგრამების ჰარმონიზება და მათი სინერჯია;
5. პოლიტიკის დაგეგმვის ერთიანი ავტომატიზებული ელექტრონული სისტემის დანერგვა.

**ეს ყველაფერი ამყარებს საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური განვითარების ახალი, სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობას.**

#### **მიზნება 4.**

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის თანახმად, „მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი არის თვითმმართველი ერთეულის განვითარების ძირითადი გეგმა, სადაც მოცემულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან განვითარების გეგმების შესახებ. დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც გასულ პერიოდზე, ასევე, მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებზე“.

„პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტული სფეროები და მათი დაფინანსების დინამიკა, პირველ რიგში, უნდა ეფუძნებოდეს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს. უზრუნველყოფდეს იმ პრობლემების მოგვარებას, რაც დასტურდება ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციით“.

მოსახლეობის ჩართულობის საკითხი გამოკვეთილია ეკონომიკური განვითარების გეგმის დოკუმენტშიც, სადაც მოცემულია გორის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა: „მსურს, მოვუწოდო გორის მოსახლეობას, დაინტერესებულ ჯგუფებსა და ყველა პარტნიორს, აქტიურად ჩაერთონ გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელებაში და მოგვანოდონ საკუთარი რეკომენდაციები, მოსაზრებები, წინადადებები, გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის“.

როგორც „დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025“-ში ვკითხულობთ, „საქართველოს მთავრობის ხედვა დეცენტრალიზაციის პროცესთან მიმართებაში გულისხმობს ადგილობრივი ხელისუფლების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და მოსახლეობის აქტიური თანამონაწილეობით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, კანონის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტიან და ოპერატიულ გადაწყვეტას, მუნიციპალიტეტის პოტენციალის სრულად გამოყენებას, მდგრად ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას“.

აღნიშნული კვლავ ამყარებს „ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის“, როგორც პრიორიტეტის გამოყოფის აუცილებლობას. რეკომენდაცია #6

## **მიზნება 5.**

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების პროგნოზირებადი ფინანსური რესურსების ფარგლებში უნდა მოამზადოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა საფუძვლად უნდა დაედოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, ყველა იმ ქვეპროგრამასა და პროგრამას, რომლებიც შემდგომში წლიურ ბიუჯეტში აისახება.

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის ერთგვარი გაგრძელებაა.

პრიორიტეტების დოკუმენტი უფრო გლობალური ხასიათისაა და მასში მოცემულია ძირითადი პრიორიტეტული სფეროების და პროგრამების დაფინანსება. სამოქმედო გეგმა კი ამავე პერიოდზე პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო კონკრეტულ ღონისძიებებს აღწერს.

**მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტი უნდა იყოს ერთგვარი ხიდი შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმებს, პრიორიტეტების დოკუმენტსა და პროგრამულ ბიუჯეტს შორის.**

## **მიზნება 6.**

### **გენდერული მენისტრიმენტი ეკონომიკურ პოლიტიკაში**

ეკონომიკის სფერო გენდერული საკითხებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარეა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორ-

ციელებისას გენდერული ასპექტები გაითვალისწინონ და მეწარმე ქალების, მათ შორის, სპეციალური საჭიროების მქონე ქალების, სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ.

გენდერული ასპექტების გათვალისწინების ერთ-ერთი გზა გენდერული ბიუჯეტირებაა.

ევროსაბჭოს განმარტებით[1], „გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს **გენდერული მენისტრიმინგის[2] გათვალისწინებას საბიუჯეტო პროცესში**. ბიუჯეტის შეფასებას გენდერულ ქრილში, გენდერული პერსპექტივის[3] ინტეგრირებას საბიუჯეტო პროცესის ყველა დონეზე და შემოსავლებისა და ხარჯების გადანაწილებას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის“.

ანალოგიურად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის განმარტებით[4]6, „გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს შესაბამისი პროცედურებისა და ანალიტიკური მიდგომების მეშვეობით, **ცხადი გენდერული ხედვის ინტეგრირებას საბიუჯეტო პროცესის ერთიან კონტექსტში**, გენდერული თანასწორობის მიმართულებაზე ორიენტირებული პოლიტიკის მხარდაჭერისათვის“.

აღსანიშნავია, რომ **გენდერული ბიუჯეტირება არ გულისხმობს ქალთა და მამაკაცთათვის განსხვავებული ბიუჯეტის შედგენას**, ან ბენეფიციართა დაყოფას გენდერულ ქრილში. ეს არის გენდერზე ორიენტირებული საბიუჯეტო პროცესის ფორმირება, რაც ითვალისწინებს საბიუჯეტო სახსრების სწორ გადანაწილებას ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით განსაზღვრულ პოლიტიკასთან შესაბამისობაში.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხს არაერთი კვლევა ეხმიანება. მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატის და გავროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის მიერ ჩატარებული კვლევა - „**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება - სპეციალური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე**“[1]7.

6 Downes, R., Trapp, L. V., & Nicol, S. (2017). Gender budgeting in OECD countries. OECD Journal on Budgeting, 16(3), 71-107. doi:10.1787/budget-16-5jfq80dq1zbn; <http://www.oecd.org/gender/Gender-Budgeting-in-OECD-countries.pdf>

7 Council of Europe. Directorate General of Human Rights. “Final report of the Group of specialists on gender budgeting”. 2015. <https://rm.coe.int/1680596143>  
გენდერული მენისტრიმინგი არის გენდერის, როგორც ანალიზის კატეგორიის, ინტეგრირების პროცესი პოლიტიკის შემუშავების ყველა საფეხურზე.  
გენდერული პერსპექტივები განსაზღვრავს გენდერის გავლენას ადამიანთა შესაძლებლობებზე (opportunities), მათ სოციალურ როლსა და ურთიერთობებზე



მასში განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკა, სპეციფიკური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. კვლევის ფარგლებში მოხდა რეგიონებში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული მდგომარეობისა და ქალთა საჭიროებების შესწავლა; გამოვლინდა ადგილობრივი მიღწევები და გამოწვევები. ამავე კვლევის შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერული პოლიტიკის გასაძლიერებლად, მათი მიზნობრიობის გასაუმჯობესებლად და ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით საინტერესო მიგნებებია პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებულ **თემატურ მოკვლევაში** „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“<sup>[2]</sup>, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტების დონეზე განხორციელებულ პროგრამებსაც.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით საინტერესო კვლევადა მიიჩნევა „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში, არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი“<sup>[3]</sup>.

## თვისებრივი კვლევა და მიგნებები

სამუშაო ჯგუფმა საკითხის უკეთ შესასწავლად თვისებრივი კვლევის ჩატარება გადაწყვიტა, რის შედეგადაც რამდენიმე ძირითადი მიგნება გაკეთდა. გვაქვს როგორც მკვლევრის, ასევე, ექსპერტებისა და რესპონდენტების რეკომენდაციები, რაც საშუალებას იძლევა, ეფექტურად და მტკიცებულებებზე დაყრდნობით წარმართოს ადვოკატირების კამპანია.

- 8 საქართველოს სახალხო დამცველი. “ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება - სპეციალური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე”. 23 მარტი, 2020. <http://ombudsman.ge/geo/190306081201spetsialuri-angarishebi/adgilobrivi-tvitmmartvelobis-organoebis-genderuli-politikis-shefaseba-spetsialuri-aktsentiit-kalta-ekonomikur-gadzlierebase> საქართველოს პარლამენტი. თემატური მოკვლევა სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ. <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-9/genderuli-tanasworobis-sabcho/tematuri-mokvleva/saxelmwifo-ekonomikur-programebshiqalta-monawileobis-shesaxeb> საქართველოს პარლამენტი. თემატური მოკვლევა თემაზე „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის“. <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-9/genderuli-tanasworobis-sabcho/tematuri-mokvleva/gender-1>



## **მიზნება 1.**

კვლევის ერთ-ერთი მიზნებაა შიდა სასოფლო საგზაო და სარწყავი ინფრასტრუქტურის გაუმართაობა. კერძოდ, ინფრასტრუქტურული ხელშეწყობა და დახმარება. ამისათვის უნდა მოეწყოს სოფლის შიდა გზები, რაც ფერმერულ მეურნეობამდე უსაფრთხო ტრანსპორტირებასა და პროდუქციის მარკეტამდე მიტანას უზრუნველყოფს. აუცილებელია სარწყავი ჭაბურღილების მოწყობა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერების უმეტესობისთვის. გარდა ამისა, თუ 2021 წელს შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტისთვის ვერ ხერხდება ფინანსების გამოყოფა, მუნიციპალიტეტს შეუძლია ამ მიმართულებით ინფრასტრუქტურული სამუშაოები განახორციელოს, რაც არანაკლებად შეუწყობს ხელს რეგიონში მენარმეობას.

## **მიზნება 2.**

კვლევის მიზნება რეგიონისა და ბაზრისთვის შესაფერისი წარმოების დაწყებაა, რაც ბიომეურნეობების გაძლიერებასა და ბიოსურტიფიცირების დანერგვას გულისხმობს. ეს ძლიერ კონკურენციას გაუწევს იმპორტირებულ პროდუქციას და ექსპორტზე თავის ნიშას განუსაზღვრავს საქართველოს. შედეგად, ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე გაძლიერდება და მცირემნიშავი მეურნეც მეტ კონკურენციას გაუწევს სხვა მწარმოებლებს.

## **მიზნება 3.**

კვლევამ დამატებით ახალი კვლევის ჩატარების საჭიროება გამოკვეთა, რაც, ახალ მიზნებასთან ერთად, ერთ-ერთი რეკომენდაციაა რეგიონში საფუძვლიანი ცვლილებებისათვის. დამატებითი კვლევა გულისხმობს რეგიონის პოტენციალის, გენდერული მენისტრიმების, გამოწვევებისა და რისკების შესწავლას. ეს კი საშუალებას მისცემს მერიას და მოსახლეობას, 2021-2024 წლების სამეწარმეო სტრატეგია ერთობლივად შეიმუშაონ და მუნიციპალიტეტში მენარმეობა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განავითარონ.

# შეუქმავი რეკომენდაციები

## დოკუმენტების მორალური ანალიზის საფუძველზე:

### რეკომენდაცია 1.

პრიორიტეტების დოკუმენტში ჩამონათვალს დაემატოს კოდი 07 00-ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. ეს საშუალებას მოგვცემს, სათანადო ბიუჯეტით შესაბამისი პროგრამების და ქვეპროგრამების განხორციელებას მეტად დავებმართო, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მენარმეობის ხელშეწყობასაც. მენარმეობის განვითარების პროგრამამ თავის თავში უნდა გააერთიანოს მსგავსი ქვეპროგრამები და აქტივობები.

### რეკომენდაცია 2.

გორის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტში, პროგრამა - „ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება გორში მდგრადი განვითარებისთვის,“ კოდით - 02 19, განხილულია, როგორც 02 „ინფრასტრუქტურის განვითარება“ შემადგენელი პროგრამა. მაშინ, როცა შინაარსიდან გამომდინარე, პრიორიტეტის - „ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა“ შემადგენელი უნდა იყოს.

### რეკომენდაცია 3.

პროგრამული კოდი 02 21 - მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარება, განხილულია, როგორც „ინფრასტრუქტურის განვითარების“ მისაღწევად საჭირო პროგრამა, შინაარსობრივად კი სხვა რამ იკითხება - მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ანალიზი, განვითარების შესაძლებლობებისა და პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა, რეკომენდაციების შემუშავება, საპროექტო წინადადებების მომზადება თანადაფინანსების კონკურსში დაფინანსების მოსაპოვებლად და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, გარე ინვესტიციების მოზიდვა და ინვესტორთა მხარდაჭერა. ეს პუნქტი არაერთ საკითხს მოიცავს. მიგვჩინია, რომ პუნქტი - „მუნიციპალიტეტის ეკონომიკის არსებული მდგომარეობის ანალიზი“ სცილდება ინფრასტრუქტურის შინაარსობრივ მხარეს. აუცილებელია მისი ცალკე, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტში გადატანა და შესაბამისი პროგრამის განსაზღვრა.

## **რეკომენდაცია 4.**

*პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გორის ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი მიმართულების შესახებ.*

## **რეკომენდაცია 5**

ეკონომიკური განვითარების გეგმა მოიცავს ორ წელიწადზე გათვლილ საქმიანობას. ეს 2019-2020 საბიუჯეტო წლებია. 2021 წლის გეგმა შესაბამის ღონისძიებებს არ მოიაზრებს. აქედან გამომდინარე, მას ვერ განვიხილავთ 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების საფუძვლად.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი შედგენის მეთოდოლოგიის თანახმად, „მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებისას, თვითმმართველობის ხელმძღვანელმა თანამდებობის პირებმა და შესაბამისმა სამსახურებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ, რომ დაცული იქნას შესაბამისობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და შესაბამისი რეგიონული განვითარების სტრატეგიას შორის“.

## **რეკომენდაცია 6.**

აუცილებელია საშუალოვადიანი პერიოდისათვის ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება.

კერძოდ, ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად უნდა დაიწყოს მუშაობა გორის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე, რომელიც, თავის მხრივ, საშუალოვადიან (4 წელი) პერიოდს დაფარავს (სტრატეგიის დოკუმენტის რეკომენდებული ხანგრძლივობაა 4-დან 10 წლამდეა). სტრატეგიას თან უნდა ახლდეს სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობის მინიმალური და მაქსიმალური ვადა 1-დან 3 წლამდეა.

შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისას, მიზანშეწონილია საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებული დოკუმენტით ხელმძღვანელობა - „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“, სადაც დეტალურადაა განწერილი

პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა ...) ძირითადი კომპონენტები და სტრუქტურა.

### **რეკომენდაცია 7.**

მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს 2021-2024 საშუალოვადიანი პერიოდის ეკონომიკური განვითარების ახალი დოკუმენტი, რომელშიც განერილი იქნება მუნიციპალიტეტის საჭიროებები აღნიშნული მიმართულებით და აისახება შემდეგ საბიუჯეტო დოკუმენტებში: პრიორიტეტის დოკუმენტი, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ბიუჯეტის დოკუმენტი და მისი პროგრამული დანართი.

აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება შესაძლებელია „მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარება“ (პროგრამული კოდი 02 21) ფარგლებში, ა (ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ, ვინაიდან პროგრამის ერთ-ერთ ღონისძიებად სწორედ მუნიციპალიტეტის ეკონომიკის არსებული მდგომარეობის ანალიზი, განვითარების შესაძლებლობებისა და პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა განისაზღვრება.

### **რეკომენდაცია 8.**

2021-2024 წლების პრიორიტეტის დოკუმენტში, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმასა და 2021 წლის ბიუჯეტის პროექტსა და მის პროგრამულ დანართში შესაბამისი გენდერული ასპექტების გათვალისწინება.

პრიორიტეტში, შესაბამის პროგრამაში/ქვეპროგრამაში და მათ აღწერასა და მიზნებში გენდერული ასპექტების გამოყოფა; მათი გათვალისწინებით სასურველი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.

გენდერული ნიშნით დაყოფილი სტატისტიკური მონაცემების სისტემატური წარმოება. შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის მითითებისას, ინფორმაციის გენდერულ ჭრილში დანახვა. აღნიშნულ პროცესში გორის გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობის გაძლიერება.

### **რეკომენდაცია 9.**

მუნიციპალიტეტის დონეზე პროგრამის - მენარმეობის განვითარება - ხელშეწყობა.

**რეკომენდაცია 10.**

კვალიფიციური კადრების შერჩევა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა.

**რეკომენდაცია 11.**

ერთიანი ხედვის ჩარჩო დოკუმენტი, პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად.

**რეკომენდაცია 12.**

ბიუჯეტის სწორად განაწილება და სხვადასხვა ტიპის მენარმეთათვის (მცირე, საშუალო და დიდი) მათ საჭიროებაზე მორგებული გრანტების შექმნა.

**რეკომენდაცია 13.**

მენარმეობის მსურველთა გადამზადება, მათი კომპეტენციების ამაღლება და განვითარება.

**რეკომენდაცია 14.**

ბაზრის კვლევა, მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესწავლა.

**რეკომენდაცია 15.**

მდგრადობის კომპონენტის მკაფიოდ და დეტალურად განსაზღვრა.

**რეკომენდაცია 16.**

თანადაფინანსების მოთხოვნა პასუხისმგებლობის გასაზრდელად.

**რეკომენდაცია 17.**

ინტერესთა კონფლიქტების გათვალისწინება და გამჭვირვალედ შეფასება.

**რეკომენდაცია 18.**

წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსების ნაცვლად ძირითადი საშუალებების შესყიდვა;

## **რეკომენდაცია 19.**

წარუმატებელი სტარტაპის ინვენტარის უკან დაბრუნება და კონფისკაცია.

## **რეკომენდაცია 20.**

სტარტაპერებისა და არსებული მენარმეების თანაბრად დაფინანსება.

პროექტის „**რეგიონების უზრუნველყოფა ინფორმაციით და ამომრჩეველთა გაძლიერება დემოკრატიისთვის**“ მონაწილეებმა აღნიშნული საკითხების ეფექტიანი ადვოკატირებისათვის შესაბამისი სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს, რომელიც მოიცავს პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვა რელევანტური უწყებების წარმომადგენლებთან შეხვედრებს დიალოგის ფორმატში, პრეზენტაციებს, თემატურ დისკუსიებსა და სხვა აქტივობებს დოკუმენტში წამოჭრილი საკითხების პოლიტიკურ დღის წესრიგში დასაყენებლად და საზოგადოებაში პოპულარიზაციის ხელშესაწყობად.



**აღმოსავლეთ ევროპის  
ცენტრი მრავალპარტიული  
დემოკრატიისათვის (EECMD)**

შარაშიძის 7  
0179, თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 32 291 56 50/51  
ელ.ფოსტა: [contact@eecmd.org](mailto:contact@eecmd.org)

**EECMD.ORG**

